არაუგვიანეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში რულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიმწოდებლისათვის დროული და ჯეროვანი შესრულება, შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება სრული სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
გ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;
დ) მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე მისცეს მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით;
ე) შემსყიდველი ვალდებულია მოიპოვოს ყველა აუცილებელი ლიცენზია ან ნებართვა საჯარო შესრულებისათვის. შემსყიდველი ასევე იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებას, ან შესრულების, ლიტერატურულ, ინტელექტუალურ ან მხატვრულ უფლებას ან პრივილეგიას და რომ საავტორო ჰონორარები, ლიცენზიის საზღაურები და სხვა გადასახდელები ამ მიმართულებით არის ან იქნება გადახდილი დროულად. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დაარღვევს ზემოაღნიშნულ გარანტიებს და საავტორო უფლებების უნებართვო გამოყენების გამო მიმწოდებელს დაუდგება მესამე პირის მიმართ რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შემსყიდველმა სრულად უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი თანხები.
4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოითხოვოს მიმწოდებლის წერილობითი ან ზეპირი განმარტებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შედის მიმწოდებლის კომპეტენციაში.

5. კონფიდენციალურობა

5.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა ის ინფორმაცია რაც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ასევე ხელშეკრულების პირობები, არ გააცნონ გარეშე პირებს.

6. დავათა გადაწყვეტა

6.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

7.1. თუ მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

8. ფორს-მაჟორული გარემოებანი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის (არაჯეროვანი შესრულებისათვის) თუკი ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორს-მაჟორი);
8.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებებად მიიჩნევა ისეთი გარემოებები, რომლებიც წარმოიშვნენ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად (სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, მიწისძვრა, ხანძრი, აფეთქება, ქარიშხლი, წყალდიდობა, კონფისკაცია ან სახელმწიფოს მიერ განხორციელებილი სხვა ქმედებები);
მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველ გარემოებათა არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;